პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი.

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირაუქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

გაზეთის დაკვეთა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ შეუვეთი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4,
ტელეფონი №

№ 112 სამშაბათი, 19 ივლისი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 19 ივლისი, 1921 წ. № 112

19 ივლისი
სამშაბათი

1920. პეტროგრადში გაიხსნა კომინტერნის მე 2 კონგრესი.
1919. შვეიცარიის სოციალ. პარტიის კონგრესმა დაადგინა, დაუყონებლივ შეურთდეს მე 3 ინტერნაციონალს.
1918. გამოქვეყნდა რ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუცია გადაყენებულ მეფის და მისი გვარეულობის ქონების ნაციონალიზაციის დეკრეტი.

დღიური:

საქ. რევკომის დადგენილება [illegible] შესახებ.

რევკომის ცირკულარი [illegible] ადგილობრივ მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე საქმის წარმოების შესახებ.

ღამით 12—13 ივლისს დიდი ზეიმით დასრულდა კომინტერნის მესამე კონგრესი.

13 ივლისის გათენებისას დასრულდა კომინტერნის მესამე კონგრესი.
49 ქვეყნის მრავალ მილიონ პროლეტარებმა და ღარიბ-ღატაკებმა ილაპარაკეს კონგრესის პირით.
კომინტერნის მიზანია—კომუნიზმი. მისი იარაღი—რევოლიუცია, ხოლო მისი ციხე-სიმაგრე—საბჭოთა რესპუბლიკები.
გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციურ ოჯახს!
გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურას!

ოთხშაბათს, 20 ივლისს, საღამოს 7 საათზე, პარტიის განსამტკიცებლად ორკვირეულის გახსნის 1 ლ დღეს, სასახლის ბაღში შესდგება

საერთო-პარტიული კრება.

დღის წესრიგი.

1. კომინტერნის მესამე კონგრესი და მისი მნიშვნელობა—ლისოვსკი, რუსულ ენაზე, ქავთარაძე—ქართულ ენაზე.
2. კომპარტიის როლი, მნიშვნელობა და ამოცანები—ორახელაშვილი რუსულ ენაზე, მდივანი—ქართულ ენაზე.
3. ორკვირეულის მნიშვნელობა—ლოლობერიძე და მეკლერი—რუს. ენ., ელიავა—ქართ. ენ.

თუ ცუდი დარი იქნა, კრება გადატანილი იქნება საოპერო თეატრის შენობაში.

საორგანიზაციო კომისია

პარტიის გასამაგრებლათ ორკვირეულის გატარების წესი.

ს. კ. პ. ც. კ. დანიშნა ამ თვის 20-დან ქ. თბილისში და მის მაზრაში „ორკვირეული პარტიის გასამაგრებლათ". ამ კომპანიის გასატარებლათ დაარსებულია საორგანიზაციო კომისია ც. კ., თ. კ. და მაზრკომის წარმომადგენლებისაგან. ამ კომისიამ შეიმუშავა „ორკვირეულის" გატარების წესი.

ც. კ. აგიტპროპგანყოფილებამ შეიმუშავა ყველა თემებისა და მოხსენებების შინაარსი, რომელიც მიღებულ იქნა კომისიის მიერ მთლიანათ.

ყველა ეს მოხსენებები თეზისების სახით დაბეჭდილია ნაწილობრივათ „ც. კ. უწყებების" № 2, ხოლო უმრავლესობა კი იქნება № 3-ში.

ორკვირეული გაიხსნება ოთხშაბათს 20 ივლისს პარტიული კრებით, სადაც გააკეთებენ 3 მოხსენებას შემდეგ თემებზე:

1. კომინტერნის მესამე კონგრესი და მისი მნიშვნელობა:
   ქართულ ენაზე—ამხ. ქავთარაძე.
   რუსულ ენაზე—ამხ. ლისოვსკი.
2. კომინტერნის როლი, მნიშვნელობა და ამოცანები:
   ქართულ ენაზე—ამხ. მდივანი.
   რუსულ ენაზე—ამხ. ორახელაშვილი.
3. ორკვირეულის მნიშვნელობა:
   ქართულ ენაზე—ამხ. ელიავა
   რუსულ ენაზე—ამხ. ლოლობერიძე და მეკლერი.

ა. წ. 29 ივლისისათვის დანიშნულია მეორე საერთო პარტიული კრება შემდეგ თემებზე:

1. საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება და ჩვენი საგარეო პოლიტიკა:
   ქართულ ენაზე—ამხ. ელიავა
   რუსულ ენაზე—ამხ. კიროვი
2. [illegible]
   ქართულ ენაზე.—ამხ. ფ. მახარაძე.
   რუსულ ენაზე—ამხ ნაზარეტიანი.

განსახილველათ შენიშნულია 18 თემა: 1) კომპარტიის როლი და მნიშვნელობა, 2) კომპარტიის მორიგი ამოცანები, 3) რ. კ. პ. ისტორია, 4) პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, 5) პარტია და პროფკავშირები, 6) მუშათა მოძრაობა და კომინტერნის ისტორია, 7) ნაციონალური საკითხი, 8) პროპაგანდა და აგიტაცია, 9) ორგანიზაციული მუშაობა (რაიკომები და იაჩეიკები), 10) პარტკომი, 11) პარტიული დისციპლინა, 12) საბჭოთა აღმშენებლობის პრინციპები, 13) სახალხო კომისარიატების მუშაობა, 15) საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება, 15) პარტიული შაბათობანი, 16) პარტიის წესდება და პროგრამა, 17) პარტიულნი და უპარტიონი და 18) მუშაობა ქალთა შორის.

გადაწყვეტილია საერთო კრებების გამოყოფა, რომლების შესახებაც გაკეთებულ იქნება მოხსენებები საერთო პარტიულ და რაიონულ კრებებზე, დანარჩენები კი გარჩეულ იქნება რაიონულ იაჩეიკებში, ხოლო იქ კი, სადაც ისინი რიცხვით ცოტანი არიან, უნდა გაერთიანდენ. ამ იაჩეიკებზე მოწვეულ პასუხისმგებელ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ დასვან გასარჩევათ ყველა მოხსენებები. რაიონების მუშაობის პრაქტიკულ თვალყურის დევნებისა და მიმართულებას მიცემისათვის არსდება ორგანიზაციული ბიურო ცეკასა და თეკას წარმომადგენლებისაგან.

ორკვირეულის პირველ დღეს წინადადება ეძლევა ყველა პარტიულ ორგანოებს დასწერონ წერილები ქვემოთ დასახელებულ თემებზე: 1) ორკვირეულის ამოცანები, 2) გაამაგრეთ პარტია, 3) პროლეტარიატის დიქტატურა, 4) კომპარტიის როლი სოციალისტურ რევოლიუციაში და 5) პარტია და წითელი არმია.

ორკვირეული დასრულდება საერთო პარტიული შაბათობით. თბილისის მაზრაში ორკვირეულის გახსნა პარტიის გასამაგრებლათ დანიშნულია კვირას 24 ივლისს, წესრიგი ისეთივე. მაზრაში გადაწყვეტილია პარტიულის გარდა მოაწყონ აგრეთვე უპარტიო კრებებიც, სადაც გააკეთებენ მოხსენებებს მიმდინარე მომენტზე.

თბილისის მაზრის ყველა ცხრა რაიონში დანიშნულია შემდეგი ამხანაგები:

1) ყარაიაზის რაიონში ბეჟი-ზადე და შაპანოვი.
2) მანგლისის — ეჯენი და მამულაშვილი.
3) საგარეჯოს — კვირკველია და ცომაია.
4) ასურეთის — სვანიძე.
5) მარტყოფის — სუხიშვილი და კორჯალია.
6) კოჯრის — ნაზარეტიანი და პანტურია.
7) სავრი ჰალის ტერუშკინი.
8) ბელიკლუჩის — ბრეზნიკოვი და მგელაძე.
9) გარეუბნის — კილოსანიძე.

საცნობლად.

ყველა პარტიულ კომიტეტებისა და პარტიის წევრთათვის.

ს. კ. პ. ც. კ. წინადადებას იძლევა ამა დებულების გამოცხადების მომენტიდან, ვიდრე ც. კ. განსაკუთრებულ განკარგულებამდე, დაუყოვნებლივ შეჩერებულ იქმნას მიღება პარტიის წევრებად და კანდიდატებად ყველასი განურჩევლად,—საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე. 1 ივლისის შემდეგ მიღებული განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ და ჯერ დაუმტკიცებელი სამაზრო და სამოქალაქო კომიტეტების მიერ, არ უნდა იქმნენ დამტკიცებულნი.

ც. კ.—ის სამდივნო) მ. ოკუჯავა.
) მ. ორახელაშვილი.
) ა. ნაზარეტიანი.

გამგე ც. კ—ის საორგანიზაციო საინსტრუქტორო
განყოფილებისა ნ. დონენკო.

ყველაფერი პარტიისათვის

ცეკას დადგენილებით 20 ივლისიდან იწყება ქ. თბილისში და მის მაზრაში კამპანია პარტიის გამაგრებისათვის ორკვირეულის გატარების შესახებ.

ეს კამპანია ტარდება შემდეგი ლოზუნგით: „ყველაფერი პარტიისათვის!"

ჩვენს პარტიულ კამპანიას დასახული აქვს შემდეგი მიზნები: აამაღლოს ფართო პარტიული მასების პოლიტიკური შეგნება, პოლიტიკური აღზრდა და მით გამოაცოცხლოს, გააძლიეროს და გააღრმაოს პარტიული მუშაობა; შეაგნებინოს პარტიის თითოეულ წევრს, რომ ის არის პარტიის ნამდვილი წევრი და მასთან პასუხის მგებელი ნაყოფიერ კომუნისტურ აღმშენებლობისათვის; გააჯანსაღოს ყველა პარტიულ ორგანიზაციების ატმოსფერო და გაამაგროს, გააძლიეროს პარტიული აპარატი.

აი ის უმთავრესი მიზნები, რომლებიც დასახულ აქვს პარტიის გასამაგრებელ ორკვირეულის გატარების კამპანიას.

უშობა რა მობილიზაციას ყველა პარტიულ ძალებს და საშვალებებს რაიმე კამპანიის გასატარებლათ, პარტია, რასაკვირველია, ხანგამოშვებით ყურადღებას უნდა აქცევდეს თავის თავსაც, პარტიის ორგანიზაციული და იდეურათ გამაგრების ამოცანებს, ერთი სიტყვით, წმინდა პარტიულ მუშაობას.

უამისოთ პარტია შეიძლება მოდუნდეს, დასუსტდეს, დაირღვეს. აი თუ რატომაა ასე მნიშვნელოვანი და აუცილებელი სპეციალური კამპანიები პარტიის გასამაგრებლათ, როდესაც ყველა ძალები, ყველა საშვალებანი, მთელი ყურადღება მიმართული და მიპყრობილია ერთ ამოცანისაკენ—პარტიის გაჯანსაღებისა, გამაგრებისა და გაძლიერებისაკენ.

ჩვენ ვიძახოდით ლოზუნგს: ყველაფერი ომისათვის, ყველაფერი ფრონტისათვის და სხვ.

ახლა ჩვენ ვიძახით ლოზუნგს: ყველაფერი პარტიისათვის, ყველაფერი პარტიის გასამაგრებლათ და განსამტკიცებლათ!

ამიტომ პარტიის გამაგრებისათვის ორკვირეულს უნდა ვუყურებდეთ, როგორც დიდს პარტიულ კამპანიას, რისთვისაც პარტიის ინტერესებისათვის მობილიზაციას უშობით ყველა ძალებს და საშვალებებს.

ორკვირეულმა საფუძველი უნდა ჩაუყაროს მასიურ კომუნისტურ აღზრდას და განათლებას პარტიულ შკოლებში სამოსწავლო საქმის დაყენების, მოწყობისა და გაუმჯობესების გზით, პარტიის პროგრამასა, ისტორიისა და წესდების გულდასმით შესწავლის გზით, პარტიულ ყრილობისა და კონფერენციების დადგენილებათა გარჩევისა და შესრულების გზით პარტიულ აღმშენებლობის საკითხებზე.

ახლა ორკვირეულის დროს პარტიის თითოეულმა წევრმა უნდა შეითვისოს მთელი ის გამოცდილება, რომელიც განვლეთ ჩვენ პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობის დარგებში, და გაამდიდროს თავის პრაქტიკა ამ გამოცდილებით.

ჩვენმა პარტიულმა კამპანიამ, რომელსაც პირველათ ვიწყებთ ჩვენ საქართველოში, უნდა მოგვცეს მაქსიმალური პრაქტიკული შედეგები:—პარტია ამ კამპანიის შემდეგ კიდევ უფრო უნდა გამაგრდეს, გაძლიერდეს, მჭიდროთ შეკავშირდეს და უნდა გახდეს ერთიანი, მთლიანი და მომქმედი.

უკან, კვლავ დაზგებისაკენ

არ კმარა შრომის ფრონტის მნიშვნელობის აღიარება. არ კმარა მათი ალაგმვა ვინც ხელს გვიშლის ამ ფრონტზე და საბოტაჟით აქარწყლებს მშრომელი მასის ყველა ღონისძიების წარმოების აღდგენისა და წინწაწევისაკენ მიმართულს. აუცილებელია იმის აღიარებაც, რომ ამ უმნიშვნელოვანეს ფრონტზე ხელმძღვანელებად უნდა გამოვიდენ პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლები, ამ ფრონტისაკენ უნდა გაეშუროს კომუნიზმის ძველი, ბრძოლაში გაკაჟებული გვარდია. საბჭოთა რუსეთში უკვე დაადგენ ამ გზას, იქ ჩვენი პარტია უკან, სახელოსნოებისაკენ და დაზგებისკენ უხმობს იმ მუშებს, რომელნიც სამოქალაქო ომის კარნახით გადატყორცნილ იქნენ რევოლიუციის სხვა და სხვა ფრონტებზე. რაც გინდ მაღალი და საპასუხისმგებლო ადგილი არ უნდა ეჭიროთ დღეს საბჭოთა დაწესებულებებში ასეთ მუშებს, მათ ეხმიან და უბრუნებენ სამრეწველო დაწესებულებებს: სისხლიან ფრონტებზე ბრძოლაში გამობრძმედილი გმირები კვლავ უდგებიან სათავეში წარმოებას, რათა ახალ, უსისხლო ფრონტზედაც გამარჯვება გაუადვილონ მუშურ გლეხურ რესპუბლიკას.

მით უფრო აუცილებელია ასეთი დემობილიზაცია ჩვენში, სადაც მენშევიკების ბატონობამ გვიანდერძა საწარმოვო ძალების დაქსაქსვა და სადაც ფარული თუ აშკარა საბოტაჟი შეპარულა ეკონომიურ ცხოვრების უმნიშვნელოვანეს და მგრძნობიარე დარგებში. პირდაპირ დანაშაულია მშრომელთა რესპუბლიკის მიმართ, როცა ასეთი შრომის გმირები, როგორც ჩვენი მხცოვანი ამხანაგები არაქელა ოქუაშვილი, როთველაძე, ვ. სტურუა. გ. ჩხეიძე და მრავალი სხვა რევკომებში და კომისარიატებში უნდა ისხდენ. დიდია და ნაყოფიერი მათი მუშაობა-საქმიანობა ყოველგვარ პოსტზე, მაგრამ გაუზომელი მნიშვნელობა და ნაყოფიერება ექნება მათ გადასვლას შრომის ფრონტზე.

მაშ, ნუ დავაგვიანებთ. სახელოსნოებს, რკინის გზებს და სხვა მნიშვნელოვან დარგებს დავუბრუნოთ გამოცდილი ხელმძღვანელები. ახალგაზრდა შრომის გმირებს გვერდს ამოუყენეთ გამოცდილი ძველი რაინდები.

საბჭოთა ხელისუფლების სიძნელე

1.

ჩვენს წინაშე დგას მეტად დიდი ამოცანა: ეს არის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება. მაგრამ ამას ათასგვარი დაბრკოლება და სიძნელე ხვდება გზაზე.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ ვხდებით ჩამოგდებული კლასების, მემამულეების და კაპიტალისტების და იმათ დამქაშების და დამცველების წინააღმდეგობას, ანუ ბურჟუაზიულ კონტრ რევოლიუციას. საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა დასძლიოს იმათი წინააღმდეგობა, უნდა შემუსროს ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუცია. ეს კონტრ-რევოლიუცია ორნაირია: აშკარა ანუ ღია და ჩუმი ანუ დაფარული. რუსეთში ადგილი ქონდა როგორც ერთს, ისე მეორეს. ბურჟუაზია იბრძოდა იქ მუშების და გლეხების მთავრობის, წინააღმდეგ როგორც აშკარათ, ისე ფარულათაც. რა თქმა უნდა ამ ორგვარი ბრძოლის მეთოდები სხვა და სხვა გვარია. აშკარა ბრძოლა ხდება შეიარაღებული აჯანყებების საშუალებით, ხოლო დაფარული ბრძოლა, ბრძოლა სწარმოებს პროვოკაციის, ცილისწამების და სიცრუის საშუალებით ერთი მხრით და საბოტაჟის, ე. ი. საქმის შეფერხების, დაშლის მეოხებით მეორე მხრით. ჩვენში ბურჟუაზიამ მენშევიკების მეთაურობით ჯერ-ჯერობით ირჩია მეორე გზა,—ესე იგი, პროვოკაცია, ცილისწამება და საბოტაჟი. აწარმოებენ აღმაშფოთებელ აგიტაციას და პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და სადაც კი შესაძლებელია აბრკოლებენ და შლიან ყოველივე იმ საქმეს, რასაც საბჭოთა ხელისუფლება იწყებს მშრომელთა სასარგებლოთ. მუშების და გლეხების მთავრობას ხომ არ შეეძლო ერთბაშათ წარმოეშვა თავისი საკუთარი მუშაკები, ერთი დაკვრით მოემზადებია საბჭოთა შესაფერი მოღვაწენი. ამიტომ აუცილებელი იყო და არის ძველი მოხელეების და მცოდნე პირების გამოყენება საბჭოთა სახელმწიფოს შენების საქმეში. და აი აქ საბოტაჟი ,აუცილებელია, თუ რომ შესაფერი ზომები არ იქნა მიღებული. მეორე მხრით ბურჟუაზია, როგორც კლასსი, რომელიც ინსტიქტიურათ გრძნობს, რომ იგი სამუდამოთ იღუპება, ყოველგვარ ზომებს ხმარობს ხალხში დაშალოს და გააძლიეროს უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მით რომ იგი მალავს საქონელს, ყიდის მას ფარულათ, სწევს ფასებს ხელოვნურად და ხშირად კიდევაც აფუჭებს, ალპობს საქონელს, ოღონდ კი მით ნუ ისარგებლოს საბჭოთა მთავრობამ და სხვ. უნდა ითქვას, რომ ეს ჩუმი თუ ფარული კონტრ-რევოლიუცია არა ნაკლებ საშიშია აშკარა კონტრ-რევოლიუციაზე და ამასთანავე მის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო რთული და საძნელო საქმეა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა თავის ორგანოების საშუალებით უნდა აუცილებლათ სძლიოს ბურჟუაზიის ყველა ეს მახინაციები და საბოლოოთ დაამარცხოს ყოველგვარი კონტრ რევოლიუცია. საბჭოთა ყველა ხელისუფალნი, კომუნისტური პარტიის თითოეული წევრი ვალდებულნი არიან ერთსულოვნათ იმოქმედონ ამ საქმეში, ვინაიდინ უამისოთ როგორც კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა, ისე თვით საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცება დიდათ დაბრკოლდება და შეფერხდება.

მაგრამ აქ ჩვენ ვეხებით მეორე დიდ სიძნელეს მომზადებულ და ერთგულ საბჭოთა ხელისუფალთა ნაკლებობას. თუ სინამდვილეს დავაკვირდებით, ჩვენ აღმოვაჩენთ ამ ხელისუფალთა სამგვარ ტიპს.

საბჭოთა ხელისუფალთა პირველ ტიპს ეკუთვნიან ისინი, ვისაც ნამდვილათ შეგნებული აქვთ თავისი უდიდესი მოვალეობა მუშებისა და გლეხების წინაშე, ვინც არა შიშის, არამედ სინიდისის ქვეშ ემსახურებიან საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების საქმეს, ვინც უარყოფს თავის პირად კერძო ინტერესებს, ვინც წუხს, იღვწის მხოლოდ საერთო ინტერესებზე, ვისაც მუშების და გლეხების საქმე გაუხდია თავის საკუთარ საქმეთ. არავისთვის დასამალავი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ასეთ მოღვაწეთა რიცხვი დღეს ჩვენში მეტად მცირეა. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მძიმე და აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა, ვინაიდან იმათ უხდებათ ბრძოლა არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების აშკარა მტრების წინააღმდეგ, არა მარტო შეუგნებელ მასსასთან, არამედ ხშირათ „თავისიანებთანაც".

მეორე ტიპს ეკუთვნიან ის „მოღვაწენი", რომლებიც ფიქრობენ, რომ რადგან საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა საქართველოში და ისინი მართვა-გამგეობის სათავეში მოექცენ, ამით უკვე ყველაფერი გადაწყდა. იმათ გონიათ, რომ დადგა დრო, როცა იმათი პირადი ბედნიერებით დაკმაყოფილება შეიძლება. სამწუხაროთ ეს ამხანაგები ან შეუგნებლათ ან შეგნებულათ ხუჭავენ თვალებს დღევანდელ სინამდვილეზე, ვერ ხედავენ ან არ უნდათ დაინახონ, თუ რა ხდება ცხოვრებაში, რომ ჯერ კიდევ შორსა ვართ იმ მდგომარეობიდან, როცა დამშვიდებით შეგვიძლია ამოვისუნთქოთ. ეს ამხანაგები ვერ ამჩნევენ, თუ რა სიძნელე, თუ რა გასაჭირი და დაბრკოლება ელობება წინ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას და გამაგრებას; ვერ ხედავენ, თუ რა ძლიერი არიან კიდევ მუშათა კლასის მტრები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება მოსვენებას არ აძლევთ, რომლებიც ათასგვარ მახინაციებს აბამენ, რომ ეს ხელისუფლება რაიმე ნაირათ [illegible]. უნდა ითქვას, რომ ასეთ ამხანაგების რიცხვი ბევრათ მეტია, ვინემ პირველი კატეგორიისა. ჩვენ არა გვგონია, რომ ესენი სრულებით დაკარგულები არიან საქმისათვის. არა იმათი გამოფხიზლება, იმათი გამოყვანა იმ თავდავიწყებიდან, რომელშიც ისინი ჩავარდნილან, ჯერ კიდევ შეიძლება, და ამას ჩვენ უნდა მივახწიოთ, რათა ეს არ უნდა დაგვიგვიანდეს. პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ იმათ უნდა მოუწოდოს ნამდვილი მუშაობისაკენ, რომ იმათ ხელი აიღონ თავის პირად ინტერესებზე, უდარდელ ცხოვრებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში. იმათ უნდა იცოდენ, რომ სულერთია დაუსჯელათ ეს მათ არ შერჩებათ.

რაც შეეხება მესამე კატეგორიის „მოღვაწეებს", ისინი მართლაც საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ უბედურებას შეადგენენ. იმათ მოუკალათებიათ განსაკუთრებით სოფლად, თუმცა ქალაქებშიაც ბევრს იპოვნით. ამ ხალხს არაფერი საერთო არა აქვს არც საბჭოთა ხელისუფლებასთან და არც მუშათა კლასთან. ისინი მხოლოდ სარგებლობენ შემთხვევით ბოროტი განზრახვით, ესენი პირდაპირ დამნაშავენი არიან.

შეიძლება იშვიათათ იმათშიაც იყვნენ თითო ოროლა ისეთი პირები, რომელთა გამოსწორება, სწორე გზაზე დაყენება შესაძლებელი იყოს, მაგრამ დიდი უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის პირდაპირ მავნებელი და საზიანოა- ისინი არიან, რომ საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს სცემენ, სახელს უტეხენ ხალხში. აშკარაა, ჩვენ ეს ხალხი დროზე თავიდან უნდა მოვიშოროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დიდი უსიამოვნობა და მდგომარეობის გართულება მოგველის.

მაგრამ როგორ, რა გზით?

ფ. მახარაძე.

კომინტერნის მესამე კონგრესი

რევოლიუციონური ბრძოლა აღმოსავლეთში.

ინგლისის ახალშენებში.

მოსკოვი, 14 ივლისი. (რადიო). კომინტერნის დილის სხდომაზე 12 ივლისს მოხსენებებით გამოვიდნენ აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები.

პირველად გამოვიდა ინგლისური მოძრაობის ერთი თვალსაჩინო მეთაურთაგანი მანი, რომელმაც განაცხადა:

„თავისუფალ ინგლისში მუშებს არასოდეს არ ეძლევათ საკმაო საჭმელი და საცმელი. ინდოეთში 320 მილ. მოსახლეობიდან 200 მილ. იმყოფება მორჩილებაში არა ბრიტანეთის, როგორც სახელმწიფოსადმი, არამედ ადამიანთა მცირერიცხოვან ჯგუფისადმი. ინგლისის მბრძანებელი ბურჟუაზია ანხორციელებს თავის ძალაუფლებას არტილერიის დახმარებით. ჩვენ ვებრძვით ამ ტირანიას და ვცდილობთ გავაერთიანოთ ამ ბრძოლაში, ჯერ ხნობით მცირერიცხოვან ჯგუფებით თვით ინდოეთში, იმისათვის, რომ მივაღწიოთ ბრიტანეთის დამონებულ ხალხების განთავისუფლებას. რასაც ჩვენ ვხედავთ ინდოეთში, ხდება ეგვიპტეშიც, მცირე ინგლისშიც, შოტლანდიაშიც და უელსშიც. ინგლისის მუშები, იბრძვიან რა ბრიტანეთის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის, შემთხვევას არ უშვებენ, რათა დაეხმარონ სხვა ხალხების განთავისუფლებასაც. ცალკე დაჩაგრულ ხალხების მოძრაობა ეროვნული განთავისუფლებისთვის უნდა იქნას მოქცეული საერთო რევოლიუციონური კალაპოტში".

მშრომელთა ბრძოლა ოსმალეთში.

ოსმალეთის კომუნისტური პარტიის დელეგატი. ნიშან ნური ამბობს „ოსმალეთის მუშები და გლეხები ომის შემდგომ აღდგნენ ანტანტას ძალმომრეობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მაგრამ ფაშებმა მოახერხეს ამ მოძრაობის დაუფლება. ქემალ-ფაშა მპართველობს იმავე წესებით, როგორც სულთანი, და სასტიკ ბრძოლას აწარმოებს კომუნისტების წინააღმდეგ.

ფაშებმა მოატყუეს ოსმალეთის მშრომელი მასსები და შექმნეს თავისი პარტია, რომელიც ეფარება კომუნისტურ ლოზუნგებს, მაგრამ ანატოლიის ასკერები, მუშები და გლეხები მიუხვდნენ ამ მოტყუილებას, და ეხლა ყოველ დღეობით უფრო მჭიდროდ კავშირდებიან. თუ ქემალი გააგრძელებს თავის პოლიტიკას, ის ჩამოგდებული იქნება ოსმალეთის მშრომელ მასსების მიერ".

საბერძნეთის პროლეტარიატი ახალი ომის წინააღმდეგ.

საბერძნეთის დელეგატი დიმიტრავესი აცხადებს, რომ საბერძნეთის მუშებს და გლეხებს, მთავრობის მიერ ოსმალეთთან ახალ ომში ჩათრეულთ, სრულებით არა სურთ დაიხოცნონ ინგლისის ინტერესებისათვის. საბერძნეთის ლაშქარში იზრდება მასსიური დეზერტირობა, ლაშქრის ნახევარი უკვე გაქცეულა. საბერძნეთის პროლეტარიატი და გლეხობა არავითარ მტრობას არ გრძნობენ ოსმალეთის მშრომელებისადმი, ორივე ქვეყნის მშრომელთა ინტერესები ერთი და იგივეა. საბერძნეთის კომუნისტური პარტია ყოველ საბაბს აყენებს, რომ გაარევოლიუციონეროს ხალხის მასსები და საბერძნეთის კომუნისტები ეწევიან მუშაობას ოსმალეთის, ბულგარეთის და ევროპიელ პროლეტარიატის მოძრაობის მიმართულებით.

მდგომარეობა სპარსეთში.

სპარსეთის წარმომადგენელი ამბობს, რომ რუსეთის რევოლიუციის შემდეგ სპარსეთი მთლად დაემორჩილა ინგლისის გავლენას. ინგლისის ვაჭრებმა შეისყიდეს სპარსეთში მთელი პური, რასაც შედეგათ მოყვა საშინელი სიმშილი, რომლისგან დაიღუპა რამოდენიმე მილიონი კაცი. ეხლა სპარსეთი განიცდის ეროვნული გამოფხიზლების პროცესს. სპარსეთის კომუნისტური პარტია ითვალისწინებს ჩამორჩენილ ქვეყნის პირობებს და ისე ანვითარებს თავის რევოლიუციონურ მუშაობას.

კომინტერნი ამხელს ყოველგვარ ნაციონალისტურ მიმდინარეობას.

მუსულმანურ რევოლიუციონურ კომიტეტის წარმომადგენელი აქვეყნებს დეკლარაციას მუშაობის მსვლელობის შესახებ სხვა და სხვა მუსულმანურ ქვეყნებში.

ამხ. ზინოვიევი მიუთითებს, რომ კომინტერნი ეხმარება მხოლოდ ნამდვილ რევოლიუციონურ მოძრაობას და ამხელს ყოველგვარ ნაციონალიზმს, როგორადაც ის არ უნდა იწოდებოდეს.

„ქემალისტების სამფლობელოში, ამბობს ამხ. ზინოვიევი, კომუნისტებს და რევოლიუციონურ მუშებს და გლეხებს ისევე ხოცავენ, როგორც სოციალ - დემოკრატიულ გერმანიაში".

სომხეთი მოწყურებულია მშვიდობიან აღმშენებლობას.

კონგრესი აღფრთოვანებით ეგებება საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლის, ძველი რევოლიუციონერის, ამხ. კასიანის გამოსვლას.

„არ არის ქვეყნიერებაზე კუთხე, ამბობს ამხ. კასიანი, სადაც იმპერიალისტები არ სჩადიოდნენ სიაძაგლეს და საზიზღრობას.

ერთი ასეთი კუთხე მახლობელ აღმოსავლეთში არის სომხეთი. ანტანტა, განსაკუთრებით კი ინგლისი, ცდილობდა სომხეთში შექმნა ბაზა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. წვრილ-ბურჟუაზიული პარტია დაშნაკებისა, რომელიც ანტანტას დახმარებით სათავეში მოექცა სომხეთს, მეზობელ ხალხებთან მუდმივ ომს აწარმოებდა; სისხლის მღვრელი შეტაკებებით ქვეყნის შიგნით, მუშების და გლეხების [illegible] წინააღმდეგ რეპრესიებით,—მან ქვეყანა მიიყვანა დაღუპვის კარამდე. ხალხი აღსდგა, და ეხლა, როდესაც დაშნაკელების ხელმეორე ცდა ძალაუფლების დაბრუნებისათვის, მარცხით გათავდა, სომხეთი იმყოფება მშვიდობიან აღმშენებლობის ხანაში: საბჭოთა ხელისუფლების დროს სომხებმა და მუსულმანებმა იწყეს ცხოვრება, როგორც ძმებმა".

უკანასკნელი სხდომა.

მოსკოვი, 14 ივლისი (რადიო) კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე ერთხმად იქმნა მოწონებული აღმოსავლეთის ხალხთა მანიფესტი, მანიფესტი იტალიის მუშებისადმი, რომელიც

2½ ინტერნაციონალის დაარსება.

(გაგრძელება იხ. „კომ." № 111).

2-ნახ. და კომუნისტური ინტერნაციონალი.

რით-და განსხვავდება 2-ნახ. ინტერნაციონალი მესამე ინტერნაციონალისაგან? 2-ნახ. ინტერნაციონალი წინააღმდეგია რუსეთის მუშათა და გლეხთა რევოლიუციის მეთოდების შაბლონურათ გადაღებისა. მაგრამ რევოლიუციაზე ხელის მომწერნი (ადლერი, ლედებური, გრიმი უოლხედი) რომ დააყენოთ ტყვიის მფრქვეველის ჩახმახთან, მაშინაც-კი არ შეუძლიათ სთქვან როგორია ის სხვა რევოლიუცია, რომელიც ზემოდ მოყვანილ 2 ნახ. ინტერნაციონალის რეზოლუციიდან განსხვავდება და რომელსაც მესამე ინტერნაციონალი იძლევა. ეს ხალხი 2-ნახ. ინტერნაციონალისაგან მეორეთ განსხვავებას იმით ასაბუთებენ, თითქოს კომუნისტური ინტერნაციონალი ანგარიშს არ უწევდეს სხვა და სხვა სახელმწიფოთა სტრუქტურის მრავალფეროვნებას და იმ ტაქტიკას, რომელიც ამ სახელმწიფოსათვის არის შესაფერისი. კვლავ რომ კედელზე მიაკრათ ეს ხალხი მაინც ვერ გეტყვიან სხვა რომელი ტაქტიკაა შესაწყნარებელი გარდა მათ მიერ წამოყენებულ ტაქტიკისა. შეიძლება საქმე ასე უნდა გავიგოთ: **საერთო ტაქტიკის სახით ჩვენ საჭიროთ** მიგვაჩნია რევოლიუციონური გამოსვლა—მასიური გაფიცვისა და შეიარაღებულ აჯანყებამდი, სპეციალურ ტაქტიკის სახით კი ჩვენ შესაწყნარებლათ ვსთვლით კოალიციას ქრისტიან სოციალისტებთან, რომლებთანაც ერთად ფრიდრიხ ადლერი ერთ და იმავე პარტიაში ლებულობდა მონაწილეობას. ვფიქრობ ამ საკითხს მხოლოდ ეს აზრი აქვს და არა სხვა რაიმე. სხვანაირათ რომ იყვეს ეს ჯაჯბატონები ცახცახს არ დაიწყებდენ კერძო პარტიების დამოუკიდებლობის შენახვისათვის, რის წინააღმდეგია თითქო მოსკოვი, ვინაიდან თუ ავტონომია თვითეულ სახელმწიფოში საერთო რევოლიუციონურ პრინციპების განხორციელებისათვისაა, მაშინ ის სრულებითაც არ ეწინააღმდეგება მჭიდრო ინტერნაციონალურ ცენტრალიზაციას, პირიქით ამ ცენტრალიზაციის იარაღადაც კი გამოადგება. ხსენებულ ოთხ წინასწარმეტყველის დამოკიდებულება რეფორმისტებიდან. გამოყოფის საკითხში იმას გვიჩვენებს, რომ მათი საქმეა რევოლიუციონური ლოზუნგები ჩამოასხან ქაღალდზე და ცხოვრებაში კი რეფორმისტული პოლიტიკა გაატარონ. ისინი წესიერ ხალხის გამომეტყველებას ღებულობენ და ისე აცხადებენ; იცვლება, იცვლება პარტიის ხასიათი და ადამიანითაცო. ჩადენილ შეცდომათა გავლენით ისინი ჭკვიანდებიან. არ შეიძლება ინტერნაციონალიდან გაძევო ვინმე იმისათვის, რომ ის წინათ სოციალ-პატრიოტი იყო. ამისათვის ის არც უნდა დამცირებულ იქნას არც ის უნდა მოეთხოვოს რომ მან ფეხშიშველა, შემნანიებლის ტანისამოსში გამოწყობილი და თავზე ფერფლ-გადაყრილი მოახდინოს „პალომნიჩესტვო" კანოსში. ყველაფერი ეს გრძნობიერი და გუმანიურია. მაგრამ კომუნისტურ ინტერნაციონალს დღემდი მასთან შეერთებულ პარტიისათვის არც მოუთხოვია რომ მოეტანა კრემლში მსხვერპლად ლენინის სპატივსაცემლად ის რეფორმისტები, რომლებმაც რეფორმიზმს ზურგი აბრუნეს. კომუნისტური ინტერნაციონალი თხოულობს მხოლოდ იმათ გაძევებას პარტიიდან რომლებიც ისევ დარჩნენ რეფორმისტებათ და სოციალ პატრიოტებათ. აქ ლედებურ, გრიმი, ადლერ. უოხოლდები გვიპასუხებენ—მაშინ რაღა საჭიროა ისეთი საწყალობელი ქმნილებანი, როგორიცაა რეფორმისტები, რომელნიც რჩებიან პარტიაში და ემორჩილებიან პარტიულ დისციპლინას გაძევებულ იქნან პარტიულ ოჯახიდან? ისინი ხომ ჯავრით მოკვდებიან ამისათვის. როგორი გაიძვერები უნდა იყვნენ ისინი, რომლებიც ამ სიტყვებს დასწერენ! რობერტ გრიმმა ძალიან კარგად იცის, რომ იმ საღორეში, რომელსაც შვეიცარიის სოციალ-დემოკრატია ჰქვია, დირიჟორის ჯოხი მას გრიმს კი არ უკავია ხელში, არამედ რეფორმისტთა უმცირესობას. გუსტავ მიულერები, გრეილიხები ქა! ზიგები და მათ გარშემო შემოკრებილი საპოლიციო და საფინანსო უფროსების ხროვა სხედან პარლამენტისა და თემის ფრაქციებში და მათ ხელშია პარტიული ხელისუფლების აპარატიც. პარტიულ ყრილობებზე ისინი ემორჩილებიან პარტიულ დისციპლინას და ამავე დროს ისინი ყოველ დღე აფურთხებენ ამ ყრილობის მიერ გამოტანილ რეზოლიუციას. როგორიცაა საქმეთა მდგომარეობა ნემცებით დასახლებულ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. შეიძლება ზეიტცი, ელენბოგენი, ლეიტნერი და რენერი ზრუნავენ იმ რევოლიუციონურ პრინციპებისათვის, რომელიც ადლერმა ინსბრუკში თავის სულის სიღრმეში აღმოაჩინა. პირიქით ისინი თავისუფლათ იტყვიან ეშმაკსაც წაუღია ეს პრინციპებიო. რაკი პარტიაში გვტოვებენ ეს იმას გვიჩვენებს რომ პარტიულ მთლიანობისათვის უთანხმოებას გაურბიანო. ჟან ლონგე გაუერთიანდა საფრანგეთის ბურჟუაზიის ძველ ლაქიას რენოდელს და მის ხროვას იმ პარტიაში, რომელიც 2 ნახ. ინტერნაციონალს ეკუთვნის. ნუთუ გამოიძებნება ისეთი კაცი, რომელმაც ერთი წუთით მაინც დაიჯეროს რომ რენოდელი პარტიული დისციპლინის მოსაზრებით საჭიროების დროს ეროვნულ თავდაცვაზე უარს იტყვის, რასაც ასე დაჟინებით ამტკიცებს ინსბრუკის თეზისები. 2 ნახევარ ინტერნაციონალის შესაწყნარებელ ტაქტიკაზე შენიშვნა უკარგავს მას კაპიტალიზმის წინააღმდეგ საომარ თანამშრომლობის ხასიათს და ხდის ისეთ განყოფილებათ, სადაც ყველას შეუძლია დარჩენა: ზოგს მშვიდობიანი ძილისათვის და ზოგსაც მშვიდობიანობა დაურღვეველ ბუდეებისათვის. ინტერნაციონალის აგების საქმეში მთავარი პუნქტია რეფორმისტებთან დამოკიდებულება. ვისაც არ უნდა დასცილდეს რეფორმისტებს, რომლებიც მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიულ ტაქტიკის გამომხატველნი არიან, ის ვერასოდეს ვერ გაატარებს პრაქტიკაში რევოლიუციონურ თეზისებს. რევოლიუციონური თეზისები გამოსადეგია რევოლიუციონურ მასის გასაძლიერებლათ, მაგრამ რეფორმისტები გამოიყენებენ მას ბურჟუაზიასთან კავშირის ჩაღოსაგდებათ. კამილ გიუსმანისი, ეს ჭკვიანი ცინიკი სავსებით მართალი იყო, როდესაც 2 ნახევარ ინტერნაციონალის შესახებ ასეთი აზრი სთქვა: „ფიქრობენ ისინი ისე როგორც ჩვენ, მაგრამ ამბობენ და ლაპარაკობენ ისე როგორც მოსკოველები". ჩვენ შეგვიძლია დაუმატოთ: „ისინი როგორც სოციალისტები არა მარტო ფიქრობენ, არამედ მოქმედებენ კიდეც". 2 ნახევარი ინტერნაციონალის არსებით მხარეს ისე ნათლად არაფერი არ გვიჩვენებს როგორც ის, რომ მის მთავარ დამაარსებლებათ გამოდიან ის კრისპინ—გილფერდინგები, რომლებიც იმ მომენტში, როდესაც ეგრედ წოდებულ რევოლიუციონურ ინტერნაციონალს ქმნიან ე. ი. როდესაც უნდათ პროლეტარიატი აქტიურათ გამოიყვანონ კაპიტალიზმის საწინააღმდეგოთ მიდიან საერთო გამოსვლებში კომუნისტებთან გაერთიანების წინააღმდეგ, რითაც სოციალ-დემოკრატების უმოქმედობის საერთო ტაქტიკას უკავშირდებიან. ამგვარი საქციელით უნდა დავაფასოთ 2 ნახევარი ინტერნაციონალი და არა მისი სიტყვებისა და მის მიერ აღიარებულ პრინციპების მიხედვით. ოპორტიუნისტები პრინციპებს ისევე იაფად აფასებენ, როგორც ხილს, ოღონდ კი ამან დააკავოს პროლეტარიატი რევოლიუციონურ გამოსვლებისაგან.

მიმართულია სერატის პოლიტიკის წინააღმდეგ, და აგრეთვე მანიფესტი რუმინეთის მუშებისადმი, თეთრი ტერორის საშინელებათა შესახებ. შემდეგ კონგრესი იღებს თეზისების შესწორებებს მსოფლიო კრიზისზე და რევოლიუციაზე, ებრაელთა დარბევაზე და ბელორუსეთის მდგომარეობაზე. კომისიის მოხსენების შემდეგ კონგრესი იღებს კომისიის თეზისების და რეზოლიუციების შესწორებათ. კონგრესმა აუცილებლად სცნო წარმოებათა მილიტარიზაციასთან ბრძოლა გაფიცვების დროს, ბრძოლა გამორიცხვის წინააღმდეგ, რა გამორიცხვასაც წარმოებები ახდენენ. კონგრესის სახელზე მიღებულია 381 მისალმებელი დეპეშა.

რუსეთის რევოლიუციის გაკვეთილები.

(დამახინჯებულია)... გამოსთქვამს მხურვალე მადლობას რუს ამხანაგებისადმი კონგრესის განმავლობაში გაწეულ შრომისათვის. ჩვენ მოვედით აქ, ამბობს კვინენი, არა მარტო იმისთვის, რომ გამოგვეტანა ჩვენი რეზოლიუცია, არამედ იმისთვისაც, რომ პრაქტიკულად შეგვესწავლა რუსულ რევოლიუციის გაკვეთილები“.

ამხ. ზინოვიევის არჩევა.

ამხ. ბელონი იტალიის, გერმანიის, ბულგარეთის და უნგრეთის დელეგაციების სახელით წინადადებას იძლევა, კომინტერნის აღმ. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ამხ. ზინოვიევი, რომელსაც ერთხმად ირჩევენ თავმჯდომარედ.

ამხ. ზინოვიევის საბოლოო სიტყვა.

ამხ. ზინოვიევი ამბობს: როდესაც 1920 წ. მიწურულში ჩვენ გამოვეცით პირველი მანიფესტი ყველა ქვეყნის პროლეტარებისადმი, ამას დასცინოდნენ და ჩვენ მეოცნებე ხალხად უთვლიდნენ. პირველი კონგრესი წარმოადგენდა მხოლოდ ერთმუჭა კლასობრივად შეგნებულ მუშებს. მეორე კონგრესზე მონაწილეობა მიიღეს უფრო მნიშვნელოვანმა პარტიებმა. მესამე კონგრესმა დაამტკიცა, რომ მიუხედავად ყველა სიძნელეთა კომუნისტური ინტერნაციონალი ყველაზე უფრო მძლავრი იქნება. მე-3 და მე 4 კონგრესს შუა ჩვენ შეტევისთვის მზადებას ვაწარმოებდეთ იქნება და შესაძლებელია, ჩვენ მის ჩატარებას მოვახერხებთ. კონგრესის პასუხს იტალიელ სოციალისტურ პარტიისადმი მოუწია ცნობამ, რომ 50,000 იტალიელი მუშები შეიარაღდნენ და გაილაშქრეს ფაბრიკების წინააღმდეგ, იმ დროს, როდესაც მათ მეთაურებმა-გამყიდველებმა დასდვეს ხელშეკრულება ფაშისტებთან იტალიის პროლეტარიატის განიარაღების შესახებ. ეს ზედმეტჯერ ამტკიცებს, რომ ევროპაში ბლომადაა ასაფეთქებელი მასალა. უნდა გადავიდეთ საპროპაგანდო მოსამზადებელ მუშაობიდან სხვა და სხვა კომუნისტური პარტიების საერთო მოქმედებათა ხელმძღვანელობაზე. მეტად მძიმე მომენტები უკან დავტოვეთ და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ცდა და ლონისძიება გამარჯვებას მოგვიტანს. თქვენ ეხლა მიემგზავრებით იქ, სადაც მძვინვარებს ბურჟუაზია, სადაც ხვრეტენ პროლეტარიატის მებრძოლებს, მაგრამ ყოველ ჩვენგანს რო მოუხდეს სიცოცხლის გაწირვა კომუნიზმის იდეალებისათვის, ჩვენ უყოყმანოთ შევწირავთ მას. ჩვენ ვსცხოვრობთ და ვკვდებით ერთის ლოზუნგით: გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს“!

კონგრესის დახურვა.

ღამით 12—13 ივლისს სხვა და სხვა ქვეყნებიდან მრავალრიცხოვან მისალმებათა მოსმენის შემდეგ, დაიხურა კომინტერნის მე-3 კონგრესი.

კონგრესის დახურვის შემდგომ დელეგატები ერთად მღერიან ინტერნაციონალს, შემდეგ ყოველი დელეგაცია ასრულებს ინტერნაციონალს თავის ენაზე. დელეგატები დილამდე არ დაშლილან და ყოფილ მეფის რეზიდენციის დარბაზებში გაისმოდა რევოლიუციონური სიმღერების ხმა, რომელიც მოუწოდებდა პროლეტარიატს ბურჟუაზიასთან გადამწყვეტ ბრძოლისათვის. „წითელი დროშა“ იტალიურ ენაზე შესცვალა „კარმანიოლამ“ ფრანგულზე და „ვარშავიანკამ“ პოლონურზე; გაისმოდა მძლავრი საზეიმო სიმღერები პროლეტარიატისა, რომელიც მიემართება გამარჯვებისაკენ კომუნიზმისათვის ბრძოლაში

წითელ რესპუბლიკებში.

სააქრთველო.

ბათომში 15 ივლ. ბათომში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.

— [illegible] სიმინდის ფასი კლებულობს.

— [illegible] წინააღმდეგ.

— რევ ტრიბუნალმა განიხილა საქმე თანამდებობის პირთა ქრთამის მიცემის შესახებ. ორთავე დამნაშავე თათრებია. ერთს მათგანს მიესაჯა 5 წლის მაღაროებში იძულებითი მუშაობა და მეორეს 3 წლის იძულებითი საზოგადო მუშაობა.

რევ ტრიბუნალის თავმჯდომარე აფრთხილებს ყველა ქრთამის მიმცემ და მიმღებთ, რომ სასამართლო ასეთს მოქმედებას უცქერის როგორც უდიდეს სიავეს და დასჯის მას კანონის მთელი სისასტიკით.

ფოთი. 15 ივლისი. ადგ. რევ-კომის დადგენილებით 1 აგვისტოდან მოსამსახურეებს მიეცემათ ერთი მერვედი საჟენი შეშა ოჯახზე, 2 საჟენის [illegible].000 მან. ანგარიშით.

12 ივლისს მოხდა სადღესასწაულო გახსნა აგიტ. განმ. პუნქტისა. გახსნას დაესწრო 600 მუშა და მოსამსახურე. წარმოითქვა მრავალი სიტყვები, რომლის შემდეგ შესდგა საკონცერტო განყოფილება, რომელიც დასრულდა „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

[illegible] მოწყობილია ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ზუგდიდი. 15 ივლისი. 10 ივლისიდან ზუგდიდში დაიწყო კომინტერნის კვირა. სადღესასწაულოში მონაწილეობას ღებულობდნენ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლები. წითელ არმიისა, პარტკომის და რევკომის წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს სიტყვები. საღამოს დადგეს წარმოდგენა. აგიტ თეატრში იმართება წარმოდგენა-მიტინგები. მოქალაქენი აღფრთოვანებული არიან.

[illegible]ური. 15 ივლისი. უკანასკნელ დროს მოწყობილ შაბათობაში მონაწილეობას იღებდნენ წითელი არმიელები, მუშები [illegible].

— [illegible] თეატრის მოწყობა [illegible]. მისი გახსნისათვის მზადდება სხვა და სხვა პროგრამმა.

[illegible]. ლექციურ ბიუროს მოღვაწეობა გეგმაშეწონილად ვითარდება. ახლად დანიშნულმა ლექტორმა მარინკომ მანგლისის სხვა-და-სხვა პუნქტებში წაიკითხა ლექციები შემდეგ თემაზე: „სახალხო განათლების საკითხი საწარმოო ძალთა განვითარებასთან დაკავშირებით.“ დედაკაცის როლი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაში“. იმედია, პრაქტიკული შედეგად ამ ლექციებს მოყვება ახალი შრომის არტელისა და კომუნის მოწყობა.

ამასთან ერთად თავის მუშაობა დაიწყო სოციალისტური კულტურის მოღვაწეთა სექციამ, შრომის სკოლის დასაარსებლად. 13 ივლისს სახ. განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ილინსკიმ წაიკითხა შემდეგი ლექცია: „პრინციპი და მეთოდები საბჭოთა ერთი მთლიანი შრომის სკოლისა“. რომელიც წარმოადგენდა შესავალს მთელი წყება ლექციებისას, რომლების მიზანია საკითხის პრაქტიკულად დამუშავება.

— 14 ივლისს ღამით გაჩნდა ცეცხლი ტყის მცველობის სახაზინო სახლში. ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობა მიიღეს კომ. ახალგაზრდობისა და კომპარტიის წევრებმა. დილით ცეცხლი ჩააქრეს. ზარალი უმნიშვნელოა.

ქრონიკა

◆ **საქართველოდან გასასვლელი ბარათების მიცემა.** ვინაიდან შ. ს. სახ. კომისარიატში ადგილობრივ რევკომებიდან შემოდის მრავალი შეკითხვა საქართველოდან გასვლის მოწმობის მიცემის შესახებ, შ. ს. სახ. კომისარიატი აუწყებს მათ, რომ აღნიშნულ მოწმობებს იძლევა მხოლოდ სახ. საგარ. კომისარიატი.

◆ **ტრამვაის მოძრაობის შეჩერება.** ქალაქის ტრამვაის ლიანდაგისა და ვაგონების შეკეთებისა გამო, თანახმათ თბილისის რევკომის დადგენილებისა, ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია 15 ივლისიდან, სანამ არ იქნება შეკეთებული ტრამვაის ვაგონები და ლიანდაგი. გადაწყვეტილია ამასთანავე რაიონებში მოძრაობა ტრამვაისა, მუშათა საჭიროებისათვის.

◆ **ფუნიკულიორი.** თბილისის საქ. რევკომის კომუნალური განყოფილების კოლეგიამ დაადგინა, რომ ფასი თითეული მგზავრზე საქალაქო ფუნიკულიორის ელექტრო-ვაგონისა გადიდებული იქნას 3,000 მანეთამდე და ასვლა და ჩამოსვლისათვის 5.000 მანეთამდე.

პროფკავშირთა ოჯახების წევრნი სარგებლობენ ფუნიკულიორის ტრამვაით უფასოთ.

◆ **უვარგის პურის გამოცხობისათვის.** საქალაქო ფურნის № 2 გამგე გურული და კანტროლიორი იმავე ფურნისა გვარამაძე სამსახურიდან დათხოვნილი არიან უვარგის პურის ცხობისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა 24 ივნისს, კონტროლიორი გვარამაძე სამსახურიდან დათხოვნილია ერთი კვირის დაპატიმრებით.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის კურსები.** ამ დღეებში თბილისში გაიხსნება ფოსტა-ტელეგრაფის კავშირები, სადაც მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდობა არა ნაკლებ 17 წლისა, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები: 1) პოლიტიკური კეთილსაიმედოების 2) გიმნაზიის 4 კლასის მოწმობა, (რომელთაც ასეთი არ მოეპოვებათ, მოხოვნილი, უნდა იყოს მცოდნე წერა-კითხვისა და განვითარებული იმდენათ, რომ ქართულ და რუსულ ენაზე თავისუფლად შეეძლოთ სპეციალური სამეცნიერო კურსის შეთვისება) 3) დაბადების მოწმობა. 4) ერთი ფოტოგრაფიული სურათი მილიციის მიერ შემოწმებული 5) ექიმის მოწმობა ჯანმრთელობაზე. მიღება ხდება პირობითათ ერთი თვის განმავლობაში მოხვედრილი ვერ მოასწრებს და უკან ჩამორჩება ცოდნაში, განთავისუფლებული იქნება. კურსი 6 თვიანი ნიჭის მიხედვით თითეული მსმენელი მომზადებული იქნება ტელეგრაფის ტეხნიკების თანამდებობაზე, ზედამხედველად, იუზისტად და მორზისტი მსმენელი მიიღებს სასურსათო ულუფას და ჯამაგირს, რომელთა რაოდენობა ირკვევა და გამოქვეყნებული იქნება ცალკე.

ასეთ კურსებზე შესვლის მსურველმა უნდა მიმართოს ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს.

◆ **ქართველ მსახიობთა მოგზაურობა.** ამ მოკლე ხანში სახელმწიფო დრამის მსახიობნი მიემგზავრებიან დასავლეთ საქართველოში წარმოდგენების გასამართავათ. დასში შედიან ქ. ტასო აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პ. ფრანგიშვილი, მ. სარაული, გ. ფრონსპირელი, ი. თარალაშვილი და სხვანი. დასს განზრახვა აქვს წარმოდგენები გამართოს პატარა დაბებშიც. დასი შევლის შემდეგ ადგილებში: გორი, ქარელი, გომი, მიხაილოვო, ყვირილა, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ფოთი, ბათუმი, ქუთაისი, შორაპანი, ჭიათურა და სხვ.

◆ **სამაზრო რევკომის სასურსათო კოლეგია.** თბილისის სამაზრო რევკომის უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს საკითხი სასურსათო კოლეგიის შესახებ, რომელიც დღემდე ოფიციალურად არ ემორჩილებოდა არც სასურსათო სახ. კომ. და არც სამაზრო რევკომ; გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეიძლება ამ ნიადაგზე აღმოცენდეს, სამაზრო რევკომმა დაადგინა: 1) კოლეგია დარჩეს სამაზრო რევკომთან, მაგრამ შეძლების დაგვარად შემცირდეს შტატი; 2) კოლეგია დამამზადებელ ფუნქციებს ასრულებს სასურსათო სახალხო კომისარის რწმუნებულთან ერთად. ეს უკანასკნელი უხსნის სამაზრო რევკომს მაზრის საჭიროებისათვის სპეციალურ ფონდს. ეს ფონდი იმყოფება სამაზრო რევკომის განკარგულებაში.

წარმოებითი პროფკავშირებში

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა, საზოგადო და სავაჭრო დაწესებულების მოსამსახურეთა პროფკავშირი.

საქართველოს საბჭოთა მომუშავეების პროფკავშირის ყველა ორგანიზაციებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გადაწყვიტა სრულიად საქართველოს საბჭოთა დაწესებულების კავშირთა ყრილობა ა. წ. აგვისტოს 20, ყრილობის მოწვევის მომზადებისათვის არჩეულია საორგანიზაციო ბიურო.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დიდ კოლოსალურ ამოცანებს, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში პროფკავშირებს აქვთ დავალებული და იმ გარემოებასაც, რომ პროფკავშირებს თავის მუშაობის დიდათ გაფართოვების შესაძლებლობა აქვთ, მაშინ ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ყრილობას.

ყრილობის საქმეა: ჩამოაყალიბოს კავშირის აღმშენებლობა ისე, რომ საბჭოთა მოსამსახურეების დაფანტული ძალები გაერთიანოს ერთ კავშირში, რომელიც ფართო მასის ნებასა და თვითმოქმედებაზე იქნება დაფუძნებული, გამოიმუშავოს სახელმწიფოებრივ [illegible] ლი გეგმა [illegible], გამონახოს [illegible] ლონისძიებანი მომუშავეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, შეიმუშავოს გეგმა სატეხნიკო [illegible] განათლებისა და პოლიტიკურ განუვითარებლობის სალიკვიდაციოთ და გადაწყვიტოს მთელი რიგი აქტუალურ და სამარი ამოცანები, როგორიცაა ცენტრ. გამ. არჩევნები და სხვა.

თავის მხრივ საორგანიზაციო ბიურო ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს ყრილობისთვის შემდეგი დღიური წესრიგი:

1. მოხსენება მომენტზე: საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში;
2. ცენტრალურ გამგეობის მოხსენება;
3. მოხსენება ადგილებიდან;
4. პროფკავშირების როლისა და ამოცანების შესახებ;
5. კავშირის საწარმოო ამოცანა.
6. საორგანიზაციო საკითხები;
7. კულტ. განყ. მოღვაწეობა და საპ. სატ. განათლება;
8. კავშირი და კოოპერაცია და მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება;
9. არჩევნები;
10. სხვა და სხვა.

ზემოდ აღნიშნულიდან აშკარაა თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება კრებას, ამიტომაც ამ ყრილობისთვის მზადებას აქედანვე უნდა შევუდგეთ და კავშირის მუშაკთა მთელი ენერგია და ძალა მას უნდა მოვანდომოთ.

თავის მხრივ ყრილობის მოსაწყობათ ცენტრალურ გამგეობამ გადასწყვიტა მოხსნას მუშაობიდან გამგეობის წევრთა საჭირო რიცხვი საქართველოს კავშირთა ყველა ორგანიზაციის მოსავლელად და ჩააბას მთელი თავისი ძალები ყრილობის მომზადების წინასწარ მუშაობაში, მაგრამ ცენტრალურ გამგეობის ყოველგვარი ცდა ამაოდ ჩაივლის თუ ადგილებზე არ იქნა საჭირო თაოსნობა გამოჩენილი და თუ პროფკავშირის ორგანიზაციები არ მიიღებენ ყოველ ლონისძიებას, რომ ისინი წარსდგენ ყრილობაზე სწორათ მოწყობილნი სამაზრო და სარაიონო განყოფილებებით. საბჭოთა მოსამსახურეების სარაიონო და საოლქო კავშირები დაუყონებლივ უნდა შეუდგნენ მოზრდილ პუნქტებში, სადაც კი მომუშავეთა საკმაო ჯგუფია (300—500) კავშირის განყოფილების მოწყობას და იზრუნონ, რომ ყველა ისინი წარმოდგენილ იქნენ ყრილობაზე.

სამაზრო ქალაქის კავშირის გამგეობამ უნდა მოაწყოს ყველა პუნქტში კავშირის [illegible] და მოიწვიოს სამაზრო ყრილობა (დაახლოვებით 50 ათ მომუშავეზე ერთი წარმომადგენელი) სამაზრო გამგეობის, სრულიად მთელი საქართველოს ყრილობის დელეგატების და ახალი კავშირის გამგეობის წევრთა ასარჩევათ.

საორგანიზაციო ბიურო მიიღებს ყოველ ლონისძიებას, რომ ადგილებს დაეხმაროს ინსტრუქტორის გაგზავნით, ვინაიდან ძალიან ცოტა დროა დარჩენილი ყრილობამდი. ამიტომ საჭიროა კავშირებმა არ დაუცადონ ინსტრუქტორებს და თვით დამოუკიდებლათ დაიწყონ მუშაობა. მასალები ინსტრუქციები და თეზისები ამ დღეებში იქნება გამოგზავნილი.

ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა ასეთია: ორგანიზაცია, სადაც წევრთა რიცხვი 100-ს არ აღემატება გზავნის ერთ დელეგატს სათათბირო ხმით: 100—200 ერთ დელეგატს გადამწყვეტი ხმით. 200 ზევით თვითეულ ორასზე 1 დელეგატს. ამასთანავე თუ მორჩენილი წევრთა რიცხვი 100-სი ან მეტი იქნება მაშინ ირჩევენ ერთ დელეგატს [illegible].

არჩევნების წესი შემდეგია. საგუბერნიო ან საოლქო კავშირი იწვევს თავის რაიონის ორგანიზაციათა ყრილობას და დელეგატის არჩევნები ხდება ამ ყრილობაზე ზევით ნაჩვენებ ნორმის მიხედვით (200-ს წევრზე ერთი დელეგატი) მსხვილი სამაზრო ცენტრები არჩევნებს ახდენენ დამოუკიდებლივ და საოლქო საგუბერნიო ყრილობაზე სრულიად მთელი საქართველოს ყრილობის დელეგატთა არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობენ. სამაზრო და სხვა ორგანიზაციები არჩევნებს ახდენენ დამოუკიდებლივ თუ კი ყრილობის მოწვევა შეუძლებელია. სოფლებისა, დაბებისა და სხვათა წვრილი ორგანიზაციებს შეუძლიანთ გაერთიანდენ დელეგატის ასარჩევათ. სამაზრო ორგანიზაციები იწვევენ მაზრის ორგანიზაციათა ყრილობას და ახდენენ არჩევნებს გაერთიანებულ წევრთა რიცხვის მიხედვით.

ყრილობამდი ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. საჭიროა დაუყონებლივ გაჩაღდეს ინტენსიური მუშაობა. საბჭოთა მოსამსახურეების ფართო წრეებს უნდა განემარტოთ ყრილობის მნიშვნელობა და უნდა ჩაბმულ იქნან ისინი მუშაობაში. დაუყონებლივ გვაცნობეთ ამ ცირკულიარის მიღება. გვაცნობეთ თუ რა მდგომარეობაშია თქვენი ორგანიზაცია ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით. რა წინასწარი ზომები მიიღეთ, რა საკითხების შესახებ გჭირიათ მასალები და საჭიროა თუ არა ინსტრუქტორის გამოგზავნა თუ შეგიძლიანთ საკუთარი ძალებით გასვლა. ვიმეორეთ დრო დაყოვნებას არ ითმენს და საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

საორგანიზაციო ბიურო მოგიწოდებთ რევოლიუციონურ შემოქმედებისა, თვითმოქმედებისა და თაოსნობისაკენ.

ამხანაგური და კომუნისტური სალამით: საორგანიზაციო ბიურო. საორგანიზაციო ბიუროს წევრები:

1. არეშიძე, 2. მეგრელიძე, 3. მანევიჩი, 4. მოვშენზონ, 5. შომახია.

ყრილობის შესახებ ცნობებისა და შეკითხვისათვის უნდა მიმართონ საორგანიზაციო ბიუროს: თბილისი მუშათა სასახლე, ოთახი № 53 საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირი.

საორგ. ბიურო.

პროვინციაში.

სენაკის მაზრა.

1921 წ. 3 ივლისს შესდგა სოფ. კურზუს თემის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგი გახსნა სალხინოს რაიკომის სახელით ამხ. პიმენ ჩარგაზიამ, რომელსაც დაესწრო სენაკის სამაზრო პასუხის მგებელი პროპაგანდისტი ამხ. სანდრო თურქია მიტინგის სახელით ამხ. თურქია მიესალმა ამხ. ი. გულორდავა. ვრცელი მოხსენებით სხვა და სხვა საკითხების განმარტებით მიტინგების წინაშე გამოდის ამხ. სანდრო თურქია, მომხსენებელმა აგრეთვე ვრცლად შეეხო, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. ამხ. თურქიას მოხსენებით მიტინგი დარჩა დიდი კმაყოფილი, რის შემდეგ გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ კურზუს თემის მრავალრიცხოვანი მიტინგი აღფრთოვანებული გულწრფელად მივესალმებით საქართველოს მშრომელთა ხელისუფლებას, ჩვენ სრულიად ყოველი ჩვენი ძალღონით უერთდებით მშრომელთა ინტერესების დამცველს ერთად ერთ კომუნისტურ პარტიას და ვუსურვებთ მათ ყოველივე დაბრკოლების გადალახვას. ჩვენ გვწამს, რომ შეურიგებელი ბრძოლა, რომელიც ეხლა სწარმოებს ერთი მხრით ქვეყნის მტაცებელი ბურჟუაზიის და მეორე მხრით მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასებს შორის კომუნისტური პარტიის მეთაურობით, აუცილებლად დამთავრდება მშრომელი ხალხის სასარგებლოთ. ჩვენ როგორც ერთი კაცი ფიცსა ვსდებთ, საქართველოს მუშურ-გლეხური მთავრობის წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ მთელი ქვეყნის მშრომელთა განმათავისუფლებელი წითელ დროშას. ჩვენ მხურვალე სურვილი გვაქვს ერთხმად შევძახოთ შემდეგი ლოზუნგები: გაუმარჯოს საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას.

გაუმარჯოს დიდებულ მებრძოლს მსოფლიო მშრომელთა მასისა და მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის თავზარდამცემს ამხ. ლენინს.

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას, რომელმაც დაამსხვრია საქართველოში მენშევიკების ბატონობის მძიმე უღელი.

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა შტაბს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის და მის თავმჯდომარე ამხ. ზინოვიევს.

ი. გულორდავა.

საერთო სამხედრო სწავლა-ვარჯიშობა ქ. ოზურგეთში.

ოზურგეთის მაზრაში უკვე დამთავრდა 16—18 წლამდე მუშა გლეხების შვილების და 18—2[illegible] წლამდე მოწაფეების აღრიცხვაზე აყვანა. ეს ცოტაა, ორი კვირაა უკვე დაიწყო ქ. ოზურგეთში საერთო სამხედრო სწავლა ვარჯიშობა. მიუხედავათ მრავალ გვარი პროვოკაციისა და ჭორებისა, ხალხში დახელოვნებულ პირებიდან გავრცელებულისა, როგორიცაა მაგალითად: ნუ გამოცხადდებით, რადგანაც როდესაც შეგასწავლიან ოსმალეთში გადაგგზავნიან და სხვა მაგრამ მიუხედავათ ამისა, ასამდე ახალგაზრდობა სისტემატიურათ ესწრება ვარჯიშობას და ხალისითაც სწავლობენ და მტერსაც კი დაა[illegible]ებენ მათი მოხდენილათ მწყობრი სიარული ვარჯიშობა.

დღეს საქართველოს მშრომელი მასის [illegible] ნულ პროლეტარულ მუშურ-გლეხური სამხედრო ხელოვნებისა თავისი წმინდა რევოლიუციონურ მოვალეობის მოხდის დროს. პროლეტარიატი ყოველთვის წინააღმდეგი იყო და არის ყაზარმული ცხოვრებისა. ის ამ დღეს ამ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციონური მოძრაობის დროს იმდენათ დაუშვებს, რამდენათაც ამას დღევანდელი მისი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოითხოვს მსოფლიო კაპიტალიზმთან, მილიტარიზმთან, იმპერიალიზმთან ხოლო ყოველ შემთხვევაში ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები ნაწილი ჰყავდეს მას თავისი, ყაზარმაში, სამაგიეროთ მთელი მუშურ-გლეხური პროლეტარული ქვეყანა უნდა გადაიქცეს ერთ დიდ უძლეველ არმიათ ცალ ხელში ამოშიშვლებული წითელი ფარხმალით, ხოლო მეორე ხელში ჩაქუჩით-ცელით. ეს ღრმათ სწამს საქართველოს მშრომელ ხალხს. ეს ღრმათ სწამს ამაყს რევოლიუციონურ გურიასაც და წმინდა მოსაზრებით ირაზმება დიდის ხალისით ჩვენი ახალგაზრდობა საერთო სწავლების რიგებში (მიუხედავათ პროვოკატორთა ცდა წანწალის, ხელის შეშლისა), რისაც ჩვენ გულწრფელათ ვესალმებით.

გაუმარჯოს ახალგაზრდა ნორჩს პროლეტარულ ლაშქარს.

პროლეტარი.

პირველ ხორგის თემი (ზუგდიდის მაზრა).

საქართველოში საბჭოთა წესების გამოცხადების შემდეგ მაზრაში ხორგის თემს 1-ლი ადგილი ეჭირა. ყველაფერი რიგზე მოეწყო და მასიურ უკმაყოფილებას ადგილი არ ქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოღალატეთა ბანაკიდან გადმოსროლილ თითო ოროლა პროვოკაციულ ხმებს; რომლითაც ბ ნ მენშევიკების და სხვა და სხვა ჯურის კონტრრევოლიუციონერების წვრილფეხა ლაქიები ხალხში არევ-დარევის შეტანას ფიქრობდენ. მაგრამ წითელ არმიელების ლმობიერმა ქცევამ და ჩვენი ამხანაგების თავგამოდებულმა შრომამ მაგარი ლაგამი ამოსდვა მათ. უკანასკნელ ხანებში კი საზოგადოების ორი მხარე იქცევს ყურადღებას, როგორც ადგილობრივ მთავრობის ისე მაზრის და ქ ფოთის. 1-ლი არის, საერთოთ მაზრაში და კერძოთ ხორგაში გავრცელებული ყაჩაღობა, რომლის მეოხებითაც საგრძნობლათ არის აწიოკებული მშრომელი მასა ხსენებული თემისა. დღეს კი უსასტიკესი ზომებია მიღებული ამ მავნე ელემენტების გასაწმენდათ უკანასკნელ ხანებში მთავრობასთან ერთად ხალხმაც გაუშვა ტყეში ყაჩაღების მოსასპობათ რამოდენიმე სანდო ამხანაგები. ასე რომ იმედი არის, რომ ახლო მომავალში მოისპობა ეს საშინელება და მშრომელი გლეხკაცობის მდგომარეობა ჩადგება ნორმალურ კალაპოტში. მეორე მხარე, რომელსაც არა ნაკლები ყურადღების ღირსია ეს არის თემში გავრცელებული შიმშილობა, რომელიც ადგილობრივი სიმიდით ვერ დააკმაყოფილა მთავრობამ. საჭიროა აუცილებლათ მთავრობის დახმარება, რათა ხალხი უკიდურესობაში არ ჩავარდეს. ცხოვრების ასეთ პირობებში ხორგელ ამხანაგებს კულტურის სამსახურიც არ ავიწყდებათ. ადგ. ახალგაზრდობა რომელიც კარგი ხანია ემსახურება თეატრის საქმეებს მჭიდროთ შეკავშირდა ამხ. აპრამიას ხელმძღვანელობით და ეწევა ენერგიულ მუშაობას თეატრის საქმეებში. სისტემატიურათ, ყოველ შაბათობით იმართება საღამოები. ხალხი ბლომათ ესწრება და დიდი კმაყოფილიც რჩება. თეატრი ახალ გახსნილია, ძლიერ სიღარიბეს განიცდის, არ არის თანხა შევიძინოთ საკუთარის თანხით საჭირო სათეატრო ნივთები, ამისათვის საჭიროა მთავრობის ყურადღება. შემიძლია თამამათ ვსთქვა, თუ თეატრს პროვინციაში მიექცევა ყურადღება ის ახალგაზრდობა, რომელიც დაუღალავ ენერგიით ემსახურება ამ ხელოვნების დიად ტაძარს, დიდს ნაყოფს მოგვცემს ახლო მომავალში. აუცილებელი საჭიროა ხელოვნების სხივის შეტანა პროვინციაში, ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. ხალხი შეაწუხა საგრძნობლათ ხანგრძლივმა გვალვამ, მაგრამ მაინც დიდძალი ყანები არის დამუშავებული. შაბათობაც რიგზე იყო მოწყობილი დღემდის, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ეს შეჩერებულია, რადგანაც მუშა ხელის გაცდენა თითქმის კვირაობით ძნელია დღევანდელს პირობებში.

პ. აშ—ა,

მიწის საკითხის მოსაგვარებელი მუშაობა ხარაგოულის რაიონში
(შორაპნის მაზრა).

სტატისტიკური გამოკვლევით (ცნო[illegible]) [illegible] თან ერთად [illegible] მიწის [illegible] ების გამო დიდ გასაჭირში იმყოფება. რაკი ეს ასეა შორაპნის მაზრის შესახებ საზოგადოდ, ხარაგოულის რაიონი ამ მხრივ კიდევ უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია. ის ცოტა რაოდენობა მიწისა, რომელიც რაიონში მოიპოვება მოსავლისათვის გამოუსადეგარია: მთაგორიანი ადგილებიდან ნიადაგს ყოველივე მიაქვს, ანადგურებს და მხოლოდ გამოფიტულ კლდეებს სტოვებს. გაჭირვება უკიდურესია, მაგრამ ოდნავ მაინც გაუმჯობესდებოდა მდგომარეობა, რომ მიწის საკითხი რეგიანად გადაწყვეტილიყო ყოფილი მთავრობის დროს. ახალ ხელისუფლებას რაიონში, რევკომს არ ქონდა საშუალება თავიდანვე ყანების დამუშავების დასაწყისშივე შესდგომოდა ამ საკითხის მოგვარებას. მან შესძლო მხოლოდ ყურადღება მიექცია ყანების დათესვისათვის და უნდა ითქვას, რომ თესვა სასურველად ჩატარდა. ათ ივნისიდან კი დაიწყო სოფლებში აგრარულ რეფორმის გამტარებელი მიწის კომიტეტების არჩევნები. არჩევნებს ხელმძღვანელობდენ მიწის მზომელნი ნ. ღლონტი და ხარაგოულის რევკომის თავმჯდომარე ი. შარიქაძე. ათ ივნისიდან თუთხმეტ ივნისამდე მათ მოახდინეს ცხრამეტი კრება სოფლებში სადაც არჩევნები სასურველად ჩაატარეს. თვრამეტ ივნისიდან დაიწყო აღწერა და ნორმების გამომუშავება. ივნისის ბოლომდე ათ სოფელში ეს მუშაობაც დამთავრდა. ეს სოფლები შემდეგია: ხორითი, საოგვეთი, საბეჟვადოური, წიფი, ქროლი, ბაზალეთი, ლარიხევი, ჯაფარეული, ჩხერი, ზარანი. ამ ჟამად ღლონტი სხვა სოფლებშიდაც აწარმოებს იმავე ხასიათის მუშაობას რევკომის წარმომადგენელ ს. ნანიკაშვილთან ერთად. საერთოდ უნდა ითქვას რომ მიწის კომისიის მუშაობას ხალხი ნდობით და თანაგრძნობით შეხვდა.

ი. ბ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარული წერილი.

ყველა სახალხო კომისარიატებს და ქალაქის რევკომს.

საქართველოს რევკომს ხშირად მოსდის ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში მთხოვნელი განიცდის დიდ შევიწროებას იქ გაბატონებულ ენის უცოდინარობის გამო. ასეთ-ავე შევიწროვებას განიცდიან ზოგიერთ კუთხის მცხოვრებნი იმის გამო, რომ ადგილობრივ დაწესებულებათა სათავეში დგანან პირნი, რომელთაც არ ესმით ადგილობრივ მკვიდრთა ენა და რომელიც მიწერ-მოწერას აწარმოებენ მცხოვრებთა უმრავლესობისათვის გაუგებარ ენაზე.

ასეთი მოვლენები სრულიად არ შეეფერება საბჭოთა ხელისუფლების იდეას, სახელს უტეხს მას და ხელს უშლის დღევანდელ წესწყობილების განმტკიცებას.

საჭიროა მიიღოთ სახელმძღვანელოთ, რომ საპასუხისმგებლო ადგილებზე დანიშვნის დროს აუცილებლად იქნეს მხედველობაში მიღებული კანდიდატის მიერ ქართული ენის ცოდნა; ამასთანავე სხვა და სხვა კუთხეებში საპასუხისმგებლო ადგილებზე დაინიშნონ ისეთი პირნი, რომელთაც გარდა სახელმწიფო ენისა ესმით ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობის ენა და საერთოდ ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებლებთან მიწერ-მოწერა და ყოველივე ურთი-ერთობა უნდა სწარმოებდეს ადგილობრივ მკვიდრთა გასაგებ ენაზე.

საქართველოს რევკომი გავალებთ თქვენ მიიღოთ შესაფერი ზომები ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელო პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად და მისი დამრღვევნი სასტიკ პასუხისგებაში მისცეთ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევკომის საქმეთა მმართველი: **ი. წივწივაძე.**

დადგენილება № 40

საქართველოს ს. ს რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

ქალაქ თბილისის განტვირთვის შესახებ.

რადგანაც ქალაქი თბილისი მეტის მეტად მჭიდროდ არის დატვირთული მცხოვრებლებით, და განიცდის დიდ სასურსათო გაჭირვებას, ამასთანავე თავი იჩინა გადამდებმა ავათმყოფობამ,—საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი აუცილებელ საჭიროდ სთვლის ქალაქის განტვირთვას (შემსუბუქებას) და ამის გამო ადგენს.

1. ყველა ის პირი: ა) რომელიც დაკავშირებული არ არის ქალაქ თბილისთან მკვიდრი მოსახლეობით და ბ) რომელიც თავისი ცხოვრების საშუალებას არა საზოგადო-სასარგებლო შრომით ჰპოვებს,—ვალდებულია, ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა,—დასტოვოს ქალაქი თბილისი.

შენიშვნა: ამ პირთა შორის საქართველოს მოქალაქენი უნდა წავიდნენ იმ ადგილას, სადაც ადმინისტრატიულად მიწერილნი არიან.

2. ტფილისიდან ლტოლვილთა გაყვანა და მათთვის მზრუნველობა დაევალოს ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოს.

შენიშვნა: ამავე სამმართველოს დაევალოს ტფილისიდან გაყვანა და მზრუნველობა ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულთა შორის ისეთი პირებისა, რომელთაც სამმართველოს გადაწყვეტილებით, თვით არ შეუძლიანთ ტფილისიდან გასვლა სრული ნივთიერი უსახსრობის გამო.

3) ამ დადგენილების პირველი მუხლი არ ვრცელდება იმ უმუშევრებზე, რომელნიც ამა დადგენილების გამოცხადებამდე ჩაწერილნი იყვნენ საქართველოს მუშათა პროფესიონალური კავშირების უმუშევართა აღრიცხვა-განაწილების განყოფილებებში.

4. ამა დადგენილების აღსრულებაში მოყვანა დაევალოს უწყებათაშორისო კომისიას, რომელიც უნდა შესდგეს შინაგან საქმეთა კომისარიატის კომუნალური განყოფილებისა, ქალაქ ტფილისის რევოლიუციონური კომიტეტისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატისა, შრომის კომისარიატისა, და საქართველოს საგანგებო კომისიის წარმომადგენელთაგან.

5. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვირკველია.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1921 წ. ივლისის 14.

ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 4.

ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტის კომუნალურ განყოფილებასთან არსებულ საბინაო ქვე-განყოფილებისა.

რადგან საჭიროება მოითხოვს, წინადადება ეძლევა ყველა სახლის კომიტეტებს წარმოადგინონ ცნობები ყველა დანგრეულ სახლებზე ქალაქ თბილისის საბჭოთა სახლების სამმართველოში, განოვის ქ. № 6, სრული თავისი პასუხისმგებლობით—ერთი კვირის განმავლობაში. შემდეგი ფორმით:

1) ქუჩის სახელწოდება.
2) სახლის ნომერი.
3) რამდენი სართულიანია.
4) როგორ არის მოთავსებული (ცენტრშია თუ კუთხეში, ქუჩაში გამოდის თუ ეზოში.
5) ვინაა პატრონი (სახელი, გვარი და მამის სახელი).
6) პატრონი ცხოვრობს ქალაქ თბილისში თუ არა.
7) მიზეზები დანგრევისა (ომიანობის დროს, სტიქიით თუ მოძველებით).
8) ანგრევენ სახლს თუ არა და თუ ანგრევენ ვინ?

უნდა იქნეს წარმოდგენილი სწორი ცნობები დანიშნულ დროის განმავლობაში—წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი იქნებიან გადაცემულნი რევოლიუციონურ ტრიბუნალზე.

საბინაო ქვე განყოფილების გამგე ე. კალანდარაშვილი, საბჭოთა სახლების სამმართველოს გამგე: **აპარინი.**

სარედაქციო კოლეგია.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ, 22 ტელ. 5—74.

— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი, [illegible] მოედანი. 5—58.

— მე-4 ე რაიონის ბიურო—[illegible]ლა ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

განცხადებანი

პარტიული

ამხ. თევდორე მაქსიმეს ძე ბეჟანოვს. თბილისის სამაზრო კომიტეტი საქ. კომპარტიისა წინადადებას ვაძლევთ დღეიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდეთ თბილისის სამაზრო კომიტეტში მდივანთან. რუსთაველის ქუჩა № 14.

თ. ს. კ. მდივანი: მაგ. კ. ხტურუა.

საორგ. საინ. გან. გამგე: ა. ტიგიშვილი.

პროფესიონალური

სახალხო კვების პროფკავშ. კულტურული განყოფილება. აუწყებს თავის წევრებს, რომ 19 ამ თვის სახელმწიფო დრამის თეატრში, საკონცერტო დარბაზში გამართული იქნება კონცერტი ლექცია. თემა 1) კულტურ განათლებ. მუშაობა პროფესიონალურ კავშირში და მისი მნიშვნელობა. 2) რას გვაძლევს ჩვენ საბჭოთა მთავრობა.

კვების. პროფ. კავშირის განყოფ. გამგე თელია.

5 აგვისტოს 1921 წ. თბილისში სახალხო გამომკვებ და საზოგადო საცხოვრებელ მომუშავეთა კავშირის ცენტრალური გამგეობა იწვევს I საერთო ყრილობას საქართველოს მასშტაბით, რომელზედაც განყოფილებანი, ქვეგანყოფილებანი და სექციები ვალდებულნი არიან გამოგზავნონ თავისი დელეგატები. ნორმა 10—50 ერთი დელეგატი. ვსთხოვთ ბიუროს და პროფესიონალურ კავშირების საბჭოს სეკრეტარიატებს აღმოგვიჩინონ დახმარება მომავალ საერთო ყრილობაზე არჩევნების მოხდენის დროს, რადგანაც არ არის შესაძლებლობა საქართველოს ყოველ კუთხეში გავგზავნოთ ინსტრუქტორები. იმ ადგილებში, სადაც რკინის გზა არ არის, ჩვენ გავგზავნეთ ორი ინსტრუქტორი და რკინის გზის ლიანდაგის ხაზზე არჩევნები გატარებულ იქნება ინსტრუქტორების მიერ.

ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმი.

განაწილება ლექციებისა ცენტრალურ პარტიულ სკოლაში 19-დან 31 ივლისამდე.

5.	„ „ სასოფ. მეურნ. დარგში	2 ს.	19 „	ფ. მახარაძე
6.	„ „ განაწილების დარგში	2 ს.	20 „	ა. ერქომაიშვილი
7.	ბანკები და ფინანსები საბჭოთა წყობილების დროს	2 ს.	21 „	ა. სვანიძე
8.	სახალხო განათლება	2 ს.	22 „	გ. რუხაძე
9.	კომ. პარტ. პროგრამა სამხედრო საკითხში	2 ს.	23 „	შ. ელიავა (დილის 10 საათიდან)
10.	პროფესიონალური კავშ. და მათი როლი	2 ს.	29 ივლისი	გ. ნუცუბიძე
11.	ეროვნული საკითხი	2 ს.	25 „	ს. ჩიხლაძე
12.	პროლეტარული სასამართლო	2 ს.	26 „	ს. ქავთარაძე.
13.	შრომის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 ს.	27 „	ს. თოდრია
14.	ხალხის ჯანმრთელობის დაცვა . . .	2 ს.	28 „	მ. კუპაძე
15.	სარწმუნოება და ეკლესია	2 ს.	29 „	რ. კალაძე
16.	პარტიული მუშაობა სოფლად . . .	2 ს.	30 „	ფ. მახარაძე
17.	ისტორიული მატერიალიზმი	4 ს.	31 „	მ. ორახელაშვილი

(ლექციები იკითხება ყოველდღიურათ საღამოს 5 საათიდან).

ახალგაზრდა კომუნისტთა ყრილობა

ს. ა. კ. კ. ც. კ. აუწყებს ს. ა. კ. კ.-რის ყველა ორგანიზაციებს, რომ ა. წ. 20 აგვისტოს მოწვეულ იქნება საქართველოს ა. კ. კ.-რის ყრილობა დღის წესრიგი: 1. მიმდინარე მომენტი. 2. მოხსენება ახალგაზრდათა ინტერნაციონალის 2 ე კონგრესის შესახებ. 3. ც. კ.-ის მოხსენება. 4. საორგანიზაციო აღმშენებლობის მორიგი ამოცანები. 5. სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობა. 6. რ. ა. კ. კ. მე-4-ე ყრილობა. 7. ხასექციო მუშაობა. 8. ც. კ.-ას. არჩევნები.

ს. ა. კ. კ. ც. კ.

ჟურნალი „ლახვარი“

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი“.

მასალები უნდა გამოგზავნონ პოლიტიკურ განათლების [illegible] განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

რაჟი 10,000 ნ. დ. ს. ც.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კრუზენშტეინის ქ., № 4.